ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 150
16/10/2015

150-06-3-201510161806

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.09.2015 წ.-დან 16.10.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. საჭადრაკო კლუბ გურიის პრეზიდენტის ზ. ანდღულაძის წერილის განხილვა თანხის გამოყოფის შესახებ;
   მომხს: ლ.საჯაია;
   თანამომხს: ვლ. ვადაჭკორია;
2. მოქალაქეთა განცხადება ძიმითისა და დვაბზუს ნასაკირალში საბავშვო ბაღის მშენებლობის პრობლემის მოგვარების შესახებ.
   მომხს: ლ.საჯაია;

18 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უპრეცედენტო პროექტის განხორციელება დაიწყო. ჩვენ ყველამ ერთად მხარი დავუჭირეთ ისეთ პროექტს, რომელიც მისაბაძი გახდა სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც. ნატა ბაჯელიძე და სალომე მიქატაძე ის სტუდენტებია, რომლებმაც მშობლიური მუნიციპალიტეტისაგან საჩუქრად, 3 000-3 000 ლარი მიიღეს. ზოგადი განათლების წახალისება და წარმატებული მოსწავლეების სტიმულირება

მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ ვამაყობთ, რომ გვყავს გამორჩეული მოსწავლეები და არაჩვეულებრივი პედაგოგები. ვფიქრობ, რომ 2016 წლისთვის ამ მიმართულებით ბიუჯეტში მეტ თანხებს ჩავდებთ, რათა ეს გახდეს სტიმული და მოტივაცია მეტი წარმატებული მოსწავლის აღზრდისთვის. როგორც გახსოვთ, ნატა ბაჯელიძესა და სალომე მიქატაძეს წარჩინებული სწავლისა და მიღწეული წარმატებისათვის, გურიის მხარის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ პატრიარქის ეპისტოლეები უსახსოვრა. ვფიქრობ, რომ ეს ახალგაზრდები თავიან მშობლიურ კუთხეს მალე დაუბრუნდებიან და დაგროვილ ცოდნას, პოტენციალს ისევ ამ მუნიციპალიტეტის წინსვლას მოახმარენ. ახალგაზრდების დაჯილდოვებას განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი და პროექტში გამარჯვებული საჯარო სკოლების დირექტორებიც ესწრებოდნენ. სასიხარულოა, რომ პროექტი გრძელდება და - 100 %-იანი სასწავლო გრანტის მფლობელი აბიტურიენტები და მათი აღმზრდელი სკოლები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან, ფულადი ჯილდოს სახით სამომავლოდაც წახალისდებიან.

20 სექტემბერს სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა - 2015“ გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა. გაიმართა ანსამბლ „მეტეხისა“ და თსუ „გორდელას“ კონცერტი. კულტურული ღონისძიებები შემოქმედის სკვერში 15:00 საათიდან გურიის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტოგამოფენით დაიწყო. პატარების განწყობაზე ანიმატორებმა იზრუნეს. გაიმართა ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების: „ურეკი“, „ბალავარი“, „კოლხა“, „ზენაარი“, „შემოქმედი“, „იადონი“, „ოცნება“ კონცერტი. შემოქმედის ახლადაშენებულ სკვერში მოსულ დამთვალიერებელს ადგილობრივი მხატვრებისა და რეწვის ოსტატების ნამუშევრების ნახვისა და შეძენის შესაძლებლობა მიეცა.

სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით შემოქმედის საჯარო სკოლას მეცნიერ აკაკი სურგულაძის სახელი მიენიჭა. დასახელდნენ მუნიციპალიტეტის საპატიო მაცხოვრებლებიც. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკუთარი სოფლისა თუ თემის აღმშენებლობის საქმეში, საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა. „საპატიო შემოქმედელის“ წოდებები მიენიჭათ: ეთერ გარაყანიძეს - სოფელ შემოქმედში მომავალი თაობების აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ვენერა გოლიაძეს - მომავალი თაობების აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, თამაზ შილაკაძეს - სოფელ შემოქმედში უანგარო საქმიანობის განხორციელებისთვის. მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები დაიმსახურეს: პოეტმა დავით ტაკიძემ (შემოქმედელი) ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობის, ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმოჩენისთვის, პედაგოგ ლიანა ასლანიშვილს - განათლებისა და მომავალი თაობების აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო. „შემოქმედობა“ პირველად 1977 წელს ჩატარდა. დღესასწაულის აღდგენის ინიციატივა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს ეკუთვნის. მოხარული ვიქნებით თუ ეს ტრადიცია სხვა თემებშიც დამკვიდრდება.

21 სექტემბერს საშემოდგომო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 34-ვე საბავშვო ბაღში დაიწყო. სკოლამდელ დაწესებულებებს სწავლის განახლება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძესთან და სოფელ ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ჩხაიძესთან ერთად სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღიდან მივულოცეთ, ხოლო ამ ბაღის აღსაზრდელებს სიმბოლური საჩუქრებიც გადავეცით.

სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღში, ორ ასაკობრივ ჯგუფში 60 აღსაზრდელია. საკრებლოს წევრებმა ადგილზე პედაგოგებისგან მოვისმინეთ ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც დროულად არის გადასაწყვეტი. „ჩემი ხედვა საბავშვო ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ახალ ინიციატივებსა და მიდგომებს. რომელსაც უპირველესად განვიხილავთ ჩემს გუნდში, როგორც აღმასრულებელ, ისე წარმომადგენლობით ორგანოში. მას შემდეგ რაც ეს იდეები დამტკიცებული პროექტების სახეს მიიღებს, მის განხორციელებას შევუდგებით და ამ შემთხვევაში ბევრ იმ პრობლემას მოვაგვარებთ, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ბაღებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია“ - აღნიშნა პედაგოგებთან საუბარისას, დიმიტრი კვერღელიძემ.

კომისია, რომელსაც ვხელმძღვანელობ, ყველა იმ ინიციატივებზე იმსჯელებს და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სამსახურთან ერთად რეალურ გზებს მოძებნის, რომელიც არა მარტო ამ კონკრეტული ბაღის პრობლემებს გადაწყვეტს.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების გოჩა შილაკაძის, ტარიელ ოსტროვსკის, ზაზა ჯანხოთელის, აკაკი მიმინოშვილის და გაიოზ სეფერთელაძის საფლავები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინებით შევამკეთ და მათ ხსოვნას პატივი მივაგეთ. გარდაცვლილი ჯარისკაცების საფლავებთან ოჯახის წევრები და ახლობლები დილიდან შეიკრიბნენ. გამგებლის დავალებით იმ სოფლებში, სადაც აფხაზეთში დაღუპული გმირების საფლავებია გამგებლის წარმომადგენლები მოსახლეობასთან ერთად იმყოფებოდნენ. აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს 20 ოზურგეთელი მეომარი დაიღუპა. მუნიციპალიტეტმა ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახებს პირად ანგარიშზე ფულადი თანხა გადაურიცხა.

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომაზე, გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ ანდღულაძისგან მოისმინა ინფორმაცია, მიმდინარე წლის დაგეგმილი და უკვე შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

4 ოქტომბერს დაბა ურეკმა, ჭადრაკში საქართველოს საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლა, რომლის ორგანიზებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 3 500

ლარი გამოყო. მასში მონაწილეობა მიიღო გურიის გუნდმა 8 კაციანი შემადგენლობით.
გურიის ჭადრაკის ფედერაცია 1995 წელს დაარსდა და ის ადგილობრივ, რეგიონალურ ტურნირებს პერმანენტულად ატარებს.

12 ოქტომბერს დასრულდა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც გამარჯვებული სამეგრელოს ნაკრები აღმოჩნდა. გურიის ნაკრებმა და შარშანდელმა პრიზიორმა კახეთის გუნდმა მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაინაწილეს.

გამარჯვებულები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ გია გიორგაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ და გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილემ გია ებრალიძემ დააჯილდოვეს.

9 ოქტომბერს დაბა ნასაკირალში, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული ის კოლექტიურ განცხადება განვიხილეთ, რომელიც ე.წ. ძიმითისა და დვაბზუს ნასაკირალში საბავშვო ბაღის მშენებლობის პრობლემის მოგვარების შუამდგომლობაა.

კომისიის გასვლითი სხდომის მიზანია თითოეული მოქალაქე ჩაერთოს პროცესში, რომელიც უშუალოდ აღნიშნული პრობლემის კვლევასა და გადაჭრის გზების ძიებას გულისხმობს. ჩვენი კომისია მზადაა მოისმინოს და გაითვალისწინოს მოსახლეობის აზრი.
საკრებულოს კომისია, აღმასრულებელი ხელისუფლების სამსახურთან ერთად საკითხის დეტალური განხილვების შემდეგ 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს მოსახლეობის აღნიშნულ მოთხოვნას.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია